მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციები

ოქტომბერი, 2017

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

შინაარსი

მთლიანი შიდა პროდუქტი 3
ეკონომიკური ზრდა საქართველოსა და მეზობელ ქვეყნებში 3
ეკონომიკური ზრდის სტრუქტურა 4
ეკონომიკის პოტენციური ზრდის დონე და მთლიანი შიდა პროდუქტის გეფი 4
ფასების დონე 5
კერძო სექტორის როლი ეკონომიკურ ზრდაში 5
საგარეო ვაჭრობა 6
ტურიზმი 7
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 8
ფულადი გზავნილები 9
მიმდინარე ანგარიშის ბალანსი 9
საკრედიტო რეიტინგები 10
უმუშევრობის დონე 10
სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზარი 10
მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 11

მთლიანი შიდა პროდუქტი

რეგიონში განვითარებული ეკონომიკური შოკების და გლობალური ეკონომიკური ზრდის შენელების ფონზე, 2016 წელს საქართველოში 2.7 პროცენტიანი ეკონომიკური ზრდა დაფიქსირდა. 2016 წლის ეკონომიკურ ზრდაში ყველაზე მაღალი წვლილი მშენებლობის სექტორმა (0.6 პპ), დამამუშავებელმა მრეწველობამ (0.4 პპ) და უძრავი ქონების სექტორმა შეიტანა (0.4 პპ).

2017 წლის აგვისტოში რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის წლიურმა ზრდამ 4.3% შეადგინა. 2017 წლის აგვისტოს ზრდაში ყველაზე მაღალი წვლილი შეიტანეს შემდეგმა სექტორებმა: დამამუშავებელი მრეწველობა (0.8 პპ), სასტუმროების და რესტორნები (0.5 პპ) და ოპერაციები უძრავი ქონებით (0.4 პპ).

2017 წლის I კვარტალში ეკონომიკა - 5.1%-ით, ხოლო II კვარტალში - 4.7%-ით გაიზარდა. 2017 წლის პირველი რვა თვის საშუალო რეალურმა ზრდამ 4.7 პროცენტი შეადგინა.

საქართველოს მთავრობის პროგნოზით, 2017 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა 4% იქნება.



ეკონომიკური ზრდა საქართველოსა და მეზობელ ქვეყნებში

საერთაშორისო სავალუტო ფონდის უახლესი პროგნოზის შესაბამისად საქართველოს ეკონომიკური ზრდა 2017 წელს 4.3% იქნება[1], რაც რეგიონის ქვეყნებთან შედარებით ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.



[1] *გრაფიკზე მოცემული მონაცემები ეყრნობა უახლეს პრეს-რელიზებს*

ეკონომიკური ზრდის სტრუქტურა

ბოლო პერიოდის განმავლობაში ეკონომიკური ზრდის მთავარი წარმმართველია ინვესტიციები. მთლიანი ინვესტიციების მნიშვნელოვანი ნაწილი კერძო ინვესტიციებზე მოდის და მისმა წვლილმა მშპ-ს რეალურ ზრდაში 2016 წელს 2.6 პროცენტული პუნქტი შეადგინა.



2017 წლის პირველ ნახევარში ეკონომიკურ ზრდაში ყველაზე მაღალი წვლილი წმინდა ექსპორტმა შეიტანა (4.3 პროცენტული პუნქტი), რაც გარკვეულწილად საგარეო მოთხოვნის გაუმჯობესებით არის განპირობებული.



ეკონომიკის პოტენციური ზრდის დონე და მთლიანი შიდა პროდუქტის გეფი[2]

2017 წლის დასაწყისიდან ეკონომიკური ზრდა დაუახლოვდა მის პოტენციურ დონეს და პოტენციური დონიდან გადახრამ პირველ კვარტალში 0.5 პპ, ხოლო მეორე კვარტალში 1.1 პპ შეადგინა.

2014 წლის მე-4 კვარტლიდან საქართველოს ეკონომიკური ზრდა ჩამორჩება მის პოტენციურ დონეს. 2016 წელს მშპ გეფმა 2.1 პპ შეადგინა. მთლიანი შიდა პროდუქტის ჩამორჩენა ძირითადად გამოწვეული იყო საგარეო მოთხოვნის შესუსტებით და დოლარის გამყარების შედეგად გაზრდილი სესხის მომსახურების ხარჯის გამო განკარგვადი შემოსავლის შემცირებით.

[2] *მთლიანი შიდა პროდუქტის გეფი წარმოადგენს სხვაობას მთლიანი შიდა პროდუქტის ფაქტობრივ და პოტენციურ დონეს შორის*

ფასების დონე

2017 წლისთვის ეროვნული ბანკის მიზნობრივი ინფლაციის მაჩვენებელი 4%-ია. 2017 წლის თებერვლის შემდეგ ინფლაციის დონე აჭარბებს მიზნობრივ მაჩვენებელს. სექტემბერში წლიურმა ინფლაციამ 6.2%, ხოლო იანვარ-სექტემბრის საშუალო ინფლაციამ 5.8% შეადგინა. ინფლაციის დონის ზრდაზე გავლენა მოახდინა იმპორტირებულმა ინფლაციამ და შუალედური ხარჯების ზრდამ. საბაზო ინფლაცია მნიშვნელოვნად ნაკლებია და იანვარ-აგვისტოს საშუალო მაჩვენებელი 3.7%-ს შეადგენს.

2016 წლის საშუალო წლიურმა ინფლაციამ 2.2% შეადგინა და მიზნობრივ 5%-ზე დაბლა შენარჩუნდა. 2016 წელს ინფლაცია კლების ტენდენციით ხასიათდებოდა. დეკემბერში წლიურმა ინფლაციამ 1.8% შეადგინა. მიზნობრივზე დაბალ მაჩვენებელს განაპირობებდა სუსტი ერთობლივი მოთხოვნა, ინფლაციის შემცირებული მოლოდინები და წინა პერიოდებში საერთაშორისო ბაზარზე საწვავსა და სურსათზე შემცირებული ფასები. შედარებით მაღალი იყო საბაზო ინფლაცია[3], თუმცა ისიც კლებადი დინამიკით ხასიათდებოდა. წლის დასაწყისში აღნიშნული მაჩვენებელი 7%-ის ფარგლებში იყო, ხოლო ნოემბერში 0.9% და დეკემბერში 1.8% შეადგინა. საბაზო ინფლაციის საშუალოწლიური მაჩვენებელი 2016 წელს 3.6 პროცენტს შეადგენდა.

კერძო სექტორის როლი ეკონომიკურ ზრდაში

2016 წელს ეკონომიკურ ზრდაში წარმმართველი როლი ეჭირა კერძო სექტორს. აღნიშნული ტენდენცია გაგრძელდა 2017 წელსაც.

2017 წლის მეორე კვარტალში ბიზნეს სექტორის ბრუნვა, წინა წელთან შედარებით 16.9%-ით, ხოლო საწარმოთა მიერ გამოშვებული პროდუქციის ღირებულება 18.9%-ით არის გაზრდილი.

ამავე პერიოდში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობამ 631.3 ათასი კაცი შეადგინა, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს 5.0%-ით აღემატება, ხოლო დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა 6.0%-ით გაიზარდა და 598.1 ათასი კაცი შეადგინა.

2017 წლის პირველ ნახევარში ბიზნეს სექტორის ბრუნვა 17.9%-ით, ხოლო გამოშვება 17.6%-ით გაიზარდა.



[3] ინფლაცია ენერგომატარებლების, სურსათის და ადმინისტრირებადი ტარიფების გამორიცხვით.

საგარეო ვაჭრობა

2016 წლის სექტემბრიდან სტაბილურად ფიქსირდება ექსპორტის ზრდა. 2017 წლის სექტემბერში ექსპორტი მნიშვნელოვნად გაიზარდა და ნომინალურმა ზრდამ წინა წლის სექტემბერთან შედარებით 27.2% შეადგინა. 2017 წლის სექტემბერში იმპორტი 5.5%-ით გაიზარდა.



2017 წლის იანვარ-სექტემბერში ექსპორტი წინა წელთან შედარებით 28.3%-ით (428.1 მლნ აშშ დოლარით) გაიზარდა და 1,940.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო იმპორტი 7.4%-ით (387.5 მლნ აშშ დოლარით) გაიზარდა და 5,627.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. მთლიანობაში, სავაჭრო ბალანსი გაუმჯობესდა 40.3 მლნ. აშშ. დოლარით.



2015 წლის მეორე კვარტლიდან გაცვლითი კურსის გაუფასურების ფონზე დაიწყო იმპორტის კორექტირება და იმპორტის შემცირების ტენდენცია 2016 წლის აპრილამდე გაგრძელდა. აპრილიდან საინვესტიციო საქონლის იმპორტის მნიშვნელოვანმა ზრდამ, რაც ძირითადად მანქანა-დანადგარების იმპორტის ზრდით იყო გამოწვეული მთლიანი იმპორტის ზრდა განაპირობა, თუმცა ოქტომბრიდან იმპორტის ზრდაში ყველაზე დიდი წვლილი შუალედური საქონლის იმპორტის (მათ შორის საწვავი და საცხები მასალების და მანქანა დანადგარების ნაწილების) ზრდამ შეიტანა.



2016 წელს წინა წელთან ექსპორტი შემცირდა 4.1%-ით და 2 113 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. იმპორტი კი - 0.1%-ით შემცირდა და 7 287 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.



ტურიზმი

ბოლო 5 წლის განმავლობაში ტურიზმი ეკონომიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სექტორად ჩამოყალიბდა. 2016 წელს საერთაშორისო ტურიზმიდან შემოსავლები 11.9%-ით გაიზარდა და დაახლოებით 230 მილიონი აშშ დოლარით მეტი სავალუტო შემოდინება დააგენერირა წინა წელთან შედარებით.

2017 წლის სექტემბერში ტურიზმიდან შემოსავლები წლიურად 25.2%-ით (61.1 მლნ. აშშ დოლარით) გაიზარდა და 304.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ხოლო, იანვარ-სექტემბერში ტურიზმიდან შემოსავლების 28.5%-იანი ზრდა დაფიქსირდა (479.9 მლნ-ით მეტი) და 2,163.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.



პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

ბოლო სამი წლის განმავლობაში საქართველოში შეინიშნება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვანი გაჯანსაღება და მისი დონე მშპ-თან მიმართებით სტაბილურობით ხასიათდება. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2016 წელს 1 565.9 მლნ აშშ დოლარი და მთლიანი შიდა პროდუქტის 10.9% შეადგინა.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდის რეალური მაჩვენებელი კიდევ უფრო შთამბეჭდავია. ბოლო პერიოდში, ძლიერი დოლარის ფაქტორის გათვალისწინებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დოლარში აღრიცხვა მისი რეალური ზრდის ტემპებს არასაკმარისად ასახავს. რეალური დინამიკის უფრო ზუსტად ასახვისათვის მნიშვნელოვანია შევხედოთ დოლარის ინდექსით შესწორებულ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებელს.



2017 წლის პირველ ნახევარში კი წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 751 მლნ. აშშ დოლარი, მშპ-ს 10.8%, შეადგინა.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ყველაზე დიდი წილი - 36.2% ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში (271.7 მლნ. აშშ დოლარი), 16.7% - მშენებლობასა (125.1 მლნ. აშშ დოლარი) და 12.7% - უძრავი ქონების სექტორში (95.4 მლნ. აშშ დოლარი) განხორციელდა. საფინანსო სექტორში განხორციელებულმა ინვესტიციებმა მთლიანი ინვესტიციების 11.1% (83.7 მლნ. აშშ დოლარი),

სასტუმროებსა და რესტორნებში - 6% (45.1 მლნ. აშშ დოლარი), ენერგეტიკაში - 3.4% (25.9 მლნ. აშშ დოლარი), ხოლო სამთომოპოვებით მრეწველობაში - 2.6% (19.5 მლნ. აშშ დოლარი) შეადგინა.

2017 წლის პირველ ნახევარში, წინასწარი მონაცემებით, ინვესტიციების მოცულობა 7.5-ჯერ გაიზარდა მშენებლობის სექტორში და 125 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. სასტუმროებისა და რესტორნების სექტორში კი ინვესტიციები, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 6-ჯერ გაიზარდა და 29 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ზრდის თვალსაზრისით ასევე გამოირჩეოდა სოფლის მეურნეობისა და უძრავი ქონების სექტორები და ზრდამ შესაბამისად 120% და 111% შეადგინა.

უმსხვილესი პირდაპირი ინვესტორი ქვეყნების სამეულში კი პირველ ადგილზე აზერბაიჯანია 30%-ით, მეორე ადგილზე - თურქეთი 16%-ით, ხოლო მესამე ადგილზე გაერთიანებული სამეფო - 15%-ით.

ფულადი გზავნილები

2016 წლის მეორე ნახევრიდან ფულადი გზავნილების მოცულობა მნიშვნელოვნად იზრდება. 2016 წელს ფულადი გზავნილების 6.6 პროცენტიანი ზრდა დაფიქსირდა. 2017 წლის იანვარ-სექტემბერში ფულადი გზავნილები გაიზარდა 19.7%-ით.



მიმდინარე ანგარიშის ბალანსი

მიმდინარე ანგარიშის ბალანსის მაღალი დეფიციტი საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ მთავარ მოწყვლადობის წყაროს წარმოადგენს.

2017 წლის მეორე კვარტალში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი და მეორე კვარტლის მშპ-ს 7.4% შეადგინა. მიმდინარე ანგარიშის გაუმჯობესებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მომსახურების ბალანსის დადებითი სალდოს ზრდამ მოახდინა. 2017 წლის მეორე კვარტალში მომსახურების ექსპორტი წლიურად 20.1%-ით, ხოლო იმპორტი 4.5%-ით გაიზარდა.

მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსების მთავარ წყაროს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები წარმოადგენს. 2017 წლის მეორე კვარტალში წმინდა პირდაპირმა ინვესტიციებმა მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის 105%, ხოლო კვარტალური მშპ-ს 7.7% შეადგინა.

2016 წელს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი 12.8% იყო.



საკრედიტო რეიტინგები

საქართველო აგრძელებს თანამშრომლობას საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიებთან „Standard & Poor's", „Fitch" და „Moody's".

2017 წლის სექტემბერში Moody's-მა გააუმჯობესა საქართველოს სუვენერული საკრედიტო რეიტინგი Ba3-დან Ba2-მდე. სარეიტინგო კომპანიის მიერ რეიტინგის გაუმჯობესება და რეიტინგის სტაბილური პერსპექტივა განპირობებულია საქართველოს სტაბილური მაკროეკონომიკური გარემოს შენარჩუნებით 2014 წლის შემდგომ რეგიონში მიმდინარე ეკონომიკური შოკების ფონზე და აჩვენებს, რომ საქართველოს ეკონომიკის მოწყვლადობა მცირდება და ინსტიტუციური გარემო ძლიერდება.

აღსანიშნავია, რომ რეგიონის ქვეყნებში საკრედიტო რეიტინგების გაუარესების ფონზე, ჩვენი ქვეყანა ინარჩუნებს სტაბილურ რეიტინგს „Standard & Poor's" და „Fitch"-ის შეფასებითაც "BB-" დონეზე.

უმუშევრობის დონე

2016 წელს უმუშევრობის დონე 0.2 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 11.8% შეადგინა. უნდა აღინიშნოს, რომ 2016 წელს უმუშევრობის დონემ ბოლო 13 წლის განმავლობაში ყველაზე დაბალ ნიშნულს მიაღწია.

სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზარი

2017 წლის იანვარ-აგვისტოში 1,170 მილიონი ლარის სახაზინო ფასიანი ქაღალდების ემისია განხორციელდა. 2016 წელს მთლიანობაში სახაზინო ფასიანი ქაღალდების ემისიამ 1,159 მილიონი ლარი შეადგინა. მოთხოვნა გაცილებით მაღალი იყო და 2,749 მლნ შეადგინა.



სახელმწიფო ფასიან ქაღალდებზე საპროცენტო განაკვეთების შემცირების ტენდენცია ეკონომიკაში გრძელვადიანი ნდობის აღდგენაზე მიანიშნებს.

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი

2017 წლის სექტემბერში მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის უცვლელად, 7%-ზე, დატოვების შესახებ. კომიტეტის გადაწყვეტილება ეყრდნობა პროგნოზს, რომლის მიხედვითაც 2017 წელს ინფლაცია ძირითადად მიზნობრივ მაჩვენებელზე ზემოთ იქნება. თუმცა, 2018 წელს ინფლაცია შემცირდება და მიზნობრივ მაჩვენებელს დაუახლოვდება.

2016 წლის აპრილიდან წლის ბოლომდე ეროვნული ბანკი შერბილებულ მონეტარულ პოლიტიკას ატარებდა.



ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

მისამართი: 0108 ქ, თბილისი, ჭოველიძის ქ. №10ა
ტელეფონი: +(995 32) 2 99 11 42
ფაქსი: +(995 32) 2 92 15 34
ელ.ფოსტა: k.chapidze@economy.ge